
საქართველოს
ახალგაზრდა
იურისტთა
ასოციაცია

მოსამართლეთა დისციპლინური პასუხისმგებლობის სისტემა და მისი მიზნები



მოსამართლეთა დისციპლინური პასუხისმგებლობის სისტემა და მისი მიზნები

თბილისი
2026

გამოცემაზე პასუხისმგებელი: თამარ ონიანი

აკრძალულია აქ მოყვანილი მასალების გადაბეჭდვა, გამრავლება ან გავრცელება კომერციული მიზნით, საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის წერილობითი ნებართვის გარეშე.

ჯ. კახიძის ქ. №15, თბილისი, საქართველო

(+995 32) 295 23 53, 293 61 01

www.gyla.ge

© 2026, საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია

სარჩევი

შესავალი 4

1. დისციპლინური პასუხისმგებლობის არსი და მიზანი 5

2. დისციპლინური პასუხისმგებლობის საფუძვლები 7

3. დისციპლინური პასუხისმგებლობის რეპრესიული მექანიზმის საფრთხე 11

შეჯამება 10

შესავალი

2025 წლის ივნისში პარლამენტმა დაჩქარებული წესით მიიღო ცვლილებები „საერთო სასამართლოს შესახებ“ ორგანულ კანონში. ისინი შეეხო საკმაოდ ბევრ საკითხს, მათ შორის, მოსამართლეთა დისციპლინური პასუხისმგებლობის საფუძვლებსა და განხილვის წესს.[1] საკანონმდებლო პაკეტით, გაუქმდა დამოუკიდებელი ინსპექტორის სამსახური, დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრების პროცესის დაწყებაზე პასუხისმგებელი გახდა უმაღლესი საბჭოს მდივანი და ის სრულად დაიხურა.[2]

კიდევ ერთი მნიშვნელოვანი ცვლილებაა დისციპლინური გადაცდომის სახედ „მოსამართლის მიერ სამოსამართლო საქმიანობასთან დაკავშირებული მოვალეობის არაჯეროვნად შესრულების“ კანონმდებლობაში დაბრუნება.[3] საინტერესოა, რას ნიშნავს, ზოგადად, ეს ტერმინი და რამდენად შესაძლებელია ამ საფუძვლით დისციპლინური პასუხისმგებლობის მიზნების განმტკიცება. წარმოდგენილი მიმოხილვის მიზანია, გამოკვეთოს, რა საფუძვლით შეიძლება დაიწყოს წარმოება მოსამართლის წინააღმდეგ და რა მასშტაბით უნდა იყოს ეს საფუძვლები მოწესრიგებული საკანონმდებლო დონეზე, ამასთანავე, საქართველოში დღეს არსებული კონტექსტის გათვალისწინებით, რა საფრთხეები არსებობს დისციპლინურ პასუხისმგებლობასთან მიმართებით.

[1] ცვლილებების შესახებ სრული მოსაზრება იხ. „2025 წლის ცვლილებები საერთო სასამართლოების შესახებ ორგანულ კანონში“, საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია, 2025, ხელმისაწვდომია:https://admin.gyla.ge/uploads_script/publications/pdf/saerto-sasamart_geo11.pdf.

[2] იქვე.

[3] იქვე.

1. დისციპლინური პასუხისმგებლობის არსი და მიზანი

დისციპლინური წარმოება არის ადმინისტრაციული ორგანოსთვის მიკუთვნებული მართლმსაჯულების განსაკუთრებული სახე, რომლის დროსაც განიხილება მოხელის, დასაქმებულისა თუ სხვა პირის მიერ ჩადენილი არამართებული ქმედება და, მისი შეფასების საფუძველზე, დგინდება შესაბამისი სახდელი. რა თქმა უნდა, ეს, გარკვეულწილად, ემსგავსება სასამართლო ხელისუფლების მიერ განხორციელებული მართლმსაჯულების სტანდარტულ გაგებას, თუმცა, მიზნებიდან და შედეგებიდან გამომდინარე, მისგან განსხვავდება.

დისციპლინური პასუხისმგებლობა სასამართლო სისტემაში გულისხმობს სახდელის სახით გარკვეული ზომების გამოყენებას მოსამართლეების წინააღმდეგ, მათ მიერ ჩადენილი უკანონო ქმედებებისა (რომლებიც, სტანდარტული გაგებით, დანაშაული არ არის) ან ზოგადი სამოსამართლო ეთიკის წესების დარღვევისთვის, რომლებიც, თავის მხრივ, არ ექვემდებარება სასამართლოს განსჯადობას.[4]

როდესაც საუბარია მოსამართლეთა დისციპლინურ პასუხისმგებლობაზე, გასათვალისწინებელია სასამართლო ხელისუფლების ანგარიშვალდებულებისა და დამოუკიდებლობის პრინციპი. დისციპლინური პასუხისმგებლობა სასამართლო ხელისუფლების ანგარიშვალდებულების უზრუნველყოფის ინსტრუმენტებიდან ერთ-ერთია.[5]

დისციპლინური პასუხისმგებლობა მჭიდროდ უკავშირდება სასამართლოს დამოუკიდებლობას.[6] ერთი მხრივ, სასამართლოს მიერ დისციპლინური საქმეების განხილვის სისტემის შექმნა, ხოლო, მეორე მხრივ, ამ საქმეების სწორი და მიუკერძოებელი გადაწყვეტა მიუთითებს სასამართლოს დამოუკიდებლობის ხარისხზე. დისციპლინური პასუხისმგებლობის ნაწილში დამოუკიდებლობის პრინციპის მნიშვნელობა ხაზგასმულია მოსამართლეთა საყოველთაო ქარტიაში, რომლის მიხედვით, მოსამართლეების მიმართ დისციპლინური ზომების გამოყენება ისე უნდა იყოს ორგანიზებული, რომ არ შელახოს მოსამართლის ნამდვილი დამოუკიდებლობა. შესაბამისად, ყურადღება მხოლოდ ობიექტურ და მხარეთა მიერ წარმოდგენილ მოსაზრებებს უნდა მიექცეს.[7] ევროპელ მოსამართლეთა საკონსულტაციო საბჭო ასევე მიუთითებს, რომ, თუ მოსამართლეთა პასუხისმგებლობა მკაფიოდ და ადეკვატურად არ არის რეგულირებული, მან შეიძლება ძირი გამოუთხაროს სასამართლოს დამოუკიდებლობას.[8]

შესაბამისად, დისციპლინური პასუხისმგებლობის მიზანია, ერთი მხრივ, სასამართლოს სისტემის ავტორიტეტის დაცვა, მასში დასაქმებული არაკეთილსინდისიერი მოსამართლეების გამოვლენა და შესაბამისი პასუხისმგებლობის დაკისრება, ხოლო, მეორე მხრივ, სასამართლოს ანგარიშვალდებულებისა და დამოუკიდებლობის განმტკიცება. დამოუკიდებლობის პრინციპზე საუბრისას, აუცილებელია, აღინიშნოს დისციპლინური პასუხისმგებლობის განმხილველი ორგანოს როლი. **ფაქტობრივად, ყველა საერთაშორისო სტანდარტით, ასეთი ორგანო უნდა იყოს დამოუკიდებელი, პირველ ყოვლისა, პოლიტიკური გავლენებისგან, თუმცა, ასევე, თავად მოსამა-**

[4] Mikuli Piotr, Pach Maciej, „Disciplinary liability of judges,The Polish case“, in: Accountability and the Law, 1st Edition, 2021, P. 63.

[5] იქვე.

[6] იქვე, §13.

[7] მოსამართლის საყოველთაო ქარტია (The universal charter of the judge), მუხლი 11.

[8] Opinion No. 27 (2024) on the disciplinary liability of judges, Consultative Council of European Judges (CCJE), 6.12.2024, §2.

რთლეებისგან. დისციპლინური წარმოების ხასიათი და, განსაკუთრებით, მისი სამართლიანობა, სულ მცირე, ნაწილობრივ დამოკიდებულია იმ ორგანოს ტიპზე, რომელიც ასეთ სამართალწარმოებას ახორციელებს.[9] აუცილებელია, რომ იმ კოლეგიური ორგანოების საქმიანობაში, რომლებიც დისციპლინურ საკითხებზე გადაწყვეტილებებს იღებენ, არ დომინირებდეს აღმასრულებელი ან საკანონმდებლო ხელისუფლების ინტერესები და ეს ორგანოები არ იყვნენ პოლიტიკური გავლენის ქვეშ.[10]

უფლებამოსილი ორგანოს გარდა, დისციპლინური საქმეების განხილვა უნდა ეყრდნობოდეს შემდეგ პრინციპებს: კანონიერება, მიზანშეწონილობა, სამართლიანობა, შესაბამისი საფუძვლის არსებობა, უდანაშაულობის პრეზუმფცია, პროპორციულობა და ა.შ.[11] შედარებით უფრო ზოგადი პრინციპებია დადგენილი ევროპელ მოსამართლეთა საკონსულტაციო საბჭოს რეკომენდაციებში. კონკრეტულად: დისციპლინური საქმეების განხილვა, მათ შორის, უნდა ემსახურებოდეს სასამართლოს მიმართ ნდობის შენარჩუნებას; მან საფრთხე არ უნდა შეუქმნას სასამართლოს დამოუკიდებლობას; დისციპლინური პასუხისმგებლობის ფარგლები მკაფიოდ უნდა იყოს განსაზღვრული და შეესაბამებოდეს კანონის უზენაესობის საფუძვლებს; პროცესში ჩართულმა ინსტიტუტებმა პატივი უნდა სცენ ხელისუფლების გამიჯვნის პრინციპს.[12]

[9] Note of international standards and good practices of disciplinary proceedings against judges, OSCE Office for Democratic Institutions and Human Rights, 27.12.2018, P. 7.

[10] იქვე.

[11] Sereda Valeriy Vyacheslavovych, Disciplinary Liability: The Content, Principles and Types, in: Security Dimensions, International and National Studies, NO. 12; 2014 (164-168), 2014, P. 11.

[12] Opinion No. 27 (2024) on the disciplinary liability of judges, Consultative Council of European Judges (CCJE), 6.12.2024, §13.

2. დისციპლინური პასუხისმგებლობის საფუძვლები

დისციპლინური სამართალწარმოება კონკრეტულ საფუძველს უნდა ემყარებოდეს. მიუხედავად იმისა, რომ საერთაშორისო სტანდარტები საკმაოდ ფართო დისკრეციას სთავაზობს ეროვნულ კანონმდებელს საკითხის მოსაწესრიგებლად, არსებობს გარკვეული შეზღუდვები, რომლებსაც დამოუკიდებელი და ანგარიშვალდებული სასამართლო სისტემის დისციპლინური წესები უნდა პასუხობდეს.

მაგალითად, ადამიანის უფლებათა კომიტეტმა არაერთხელ აღნიშნა, რომ სახელმწიფოებმა უნდა დაადგინონ მკაფიო პროცედურები და ობიექტური კრიტერიუმები, რომლებიც არეგულირებს მოსამართლეების საქმიანობის შეჩერებას, თანამდებობიდან გათავისუფლებასა თუ სხვა დისციპლინურ სახდელებს.[13] მოსამართლეთა საყოველთაო ქარტიის მიხედვით, მოსამართლის მიმართ დისციპლინური ზომების მიღება შესაძლებელია მხოლოდ კანონმდებლობით გათვალისწინებულ შემთხვევებში და წინასწარ განსაზღვრული საპროცესო ნორმების დაცვით.[14] ამასთანავე, ყველანაირი მატერიალური და პროცედურული წესი კანონით უნდა იყოს დადგენილი.[15]

დისციპლინური პასუხისმგებლობის საფუძველი მატერიალური დისციპლინური წარმოების საკითხია. ერთი მხრივ, სახელმწიფოს შეუძლია, თვითონ აარჩიოს რეგულაციის სახე (პასუხისმგებლობის საფუძვლად ზოგადი თუ კონკრეტული ფაქტების მითითება), თუმცა, საერთაშორისო სტანდარტების მიხედვით, გამოიყოფა რამდენიმე ძირითადი „საფუძველი“, რომლებიც არ უნდა გახდეს სანქციის დაწესების მიზეზი. პირველ ყოვლისა, კანონმდებლობით ცალსახად და შეძლებისდაგვარად კონკრეტული ტერმინებით უნდა განისაზღვროს ის გარემოებები, რომლებსაც შეიძლება დაეფუძნოს მოსამართლეების წინააღმდეგ დისციპლინური წარმოების დაწყება.[16] უნდა გამოირიცხოს *ad hoc* საფუძვლების შემოღება. ბუნდოვანი დებულებები (როგორებიცაა, მაგალითად, „ფიცის დარღვევა“, „არაეთიკური ქცევა“, „პოლიტიკური აქტივობა“, „უღირსი დამოკიდებულება“ ან „არაპროფესიონალური ქცევა“) ზედმეტად ფართო ინტერპრეტაციისა და ბოროტად გამოყენების საშუალებას იძლევა, რაც შეიძლება საშიში იყოს მოსამართლეების დამოუკიდებლობისთვის.[17] უნდა აღინიშნოს, რომ ზოგიერთი დისციპლინური გადაცდომის ბუნდოვანებას თან ახლავს მისი თვითნებური გამოყენებისა და მოსამართლეთა დამოუკიდებლობის შეზღუდვის რისკი.[18] კანონმდებლობით გაწერილი საფუძვლების ბუნდოვანება ზრდის სწორედ თვითნებობის ზემოხსენებულ რისკს.

ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტის რეკომენდაციის თანახმად, მოსამართლეებს არ უნდა დაეკისროთ დისციპლინური პასუხისმგებლობა კანონის ინტერპრეტაციის, ფაქტების გაანალიზებისა ან საქმეების განხილვის კონტექსტში მტკიცებულებების შეფასებისთვის.[19]

---

[13] Legal Framework and Overview of Case Law on Disciplinary Responsibility off Judges, Organization of Security and Co-operation in Europe, Mission to Serbia, 2016, P.10.

[14] მოსამართლის საყოველთაო ქარტია (The universal charter of the judge), მუხლი 11.

[15] Opinion No. 27 (2024) on the disciplinary liability of judges, Consultative Council of European Judges (CCJE), 6.12.2024, §18.

[16] იქვე, §27.

[17] იქვე.

[18] Note of international standards and good practices of disciplinary proceedings against judges, OSCE Office for Democratic Institutions and Human Rights, 27.12.2018, P. 16.

[19] Recommendation CM/Rec(2010)12 of the Committee of Ministers to Member States on Judges: Independence,

ამ საერთაშორისო სტანდარტების საპასუხოდ, **ქართული რეალობა ბოლო საკანონმდებლო ცვლილებების მერე რამდენადმე გაუარესდა. „საერთო სასამართლოების შესახებ“ ორგანული კანონის 75[1]-ე მუხლის დისციპლინური გადაცდომების სიას კვლავ დაემატა ჩანაწერი „მოსამართლის მიერ სამოსამართლო საქმიანობასთან დაკავშირებული მოვალეობის არაჯეროვნად შესრულება“. ასეთი ბუნდოვანი ნორმის დისციპლინურ გადაცდომად კვლავ დაბრუნება კანონში, სისტემაში გავლენიანი ჯგუფის არსებობის გათვალისწინებით, ინდივიდუალურ მოსამართლეზე ზეწოლის ბერკეტს აძლიერებს.**

Efficiency and Responsibilities (adopted by the Committee of Ministers on 17 November 2010 at the 1098th meeting of the Ministers' Deputies), §66.

3. დისციპლინური პასუხისმგებლობის რეპრესიული მექანიზმის საფრთხე

დისციპლინური პასუხისმგებლობის ბუნდოვანი საფუძვლები ქმნის სასამართლო სისტემის, ცალკეული მოსამართლეების პოლიტიკური კონტროლისა და რეპრესიული მექანიზმის შესაძლო გამოყენების საფრთხეს. მოსამართლეთა დისციპლინური პასუხისმგებლობა ერთ-ერთი იმ ინსტიტუტთაგანია, რომლითაც განსაკუთრებულად მარტივად შეიძლება სასამართლო სისტემის დამოუკიდებლობის იდეის შელახვა და რეპრესიების პროვოცირება.[20]

წარმოდგენილი საკანონმდებლო ცვლილებებით, რომლებიც პარლამენტმა 2025წლის ივნისში დაჩქარებული წესით დაამტკიცა, სრულად დაიხურა დისციპლინური საქმის განხილვის პროცესი.[21] ის პოზიტიური ჩანაწერი, რომლის მიხედვითაც, სურვილის შემთხვევაში, მოსამართლეს შეეძლო, მოეთხოვა იუსტიციის უმაღლესი საბჭოს (გარდა თათბირისა და გადაწყვეტილების მიღების პროცედურებისა), აგრეთვე, სადისციპლინო კოლეგიისა და პალატის იმ სხდომების გასაჯაროება, რომლებზეც მისი საქმე განიხილებოდა, გაუქმდა.[22] ასევე გაუქმდა დამოუკიდებელი ინსპექტორის სამსახური და მოსამართლის მიმართ დისციპლინური სამართალწარმოების, საქმის წინასწარ შემოწმებისა და გამოკვლევის დაწყებაზე უფლებამოსილი პირი იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მდივანი გახდა.[23]

შესაბამისად, მთლიანად საკანონმდებლო ცვლილებების სისტემური გააზრების შედეგად, სავარაუდოა, რომ ეს ცვლილებები, შესაძლოა, ბოროტად იყოს გამოყენებული იმ მოსამართლეების წინააღმდეგ, რომლებიც სახელისუფლებო გუნდის პოლიტიკურ თუ სამართლებრივ პოზიციას არ იზიარებენ.

გარდა ამისა, აღსანიშნავია, რომ დისციპლინური სამართალწარმოება უნდა მოიცავდეს საჯარო მოსმენებს და ითვალისწინებდეს წესებს, რომლითაც შესაბამის მოსამართლეს საშუალება მიეცემა, გააცნოს თავისი აზრი მეორე მხარეს, წარმოადგინოს მოწმეები და მიიღოს მის საქმესთან დაკავშირებული ყველა შესაბამისი ინფორმაცია.[24] ზოგადად, სხვადასხვა მიზანი აქვს დისციპლინური წარმოების საჯაროობასა და გამჭვირვალობას, რაც ითვალისწინებს არა მხოლოდ განხილვის პროცესის, არამედ შესაბამისი დოკუმენტაციის ხელმისაწვდომობასაც. პირველ ყოვლისა, მოსამართლის უფლებაა, გაეცნოს მის წინააღმდეგ მიმდინარე წარმოებას და შეეძლოს მასში სრულყოფილი მონაწილეობა. თუმცა, სამსახურებრივი გადაცდომის გამო დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრება არ უნდა მიიჩნეოდეს მხოლოდ მოსამართლის ან სასამართლო სისტემის ინტერესად. მასში მოიაზრება ასევე ის ზოგადი საჯარო ინტერესი, რომელიც დემოკრატიულ საზოგადოებაში არსებობს მართლმსაჯულების სისტემის მიმართ. შესაბამისად, პროცესის გამჭვირვალობა ერთმნიშვნელოვნად საჯარო ინტერესია. ამასთანავე, დისციპლინური გადაწყვეტილებების რეგულარული გამოქვეყნება ხელს შეუწყობს საკანონმდებლო ხარვეზების აღმოჩენასა და გაუმჯობესებას.[25]

---

[20] Mikuli Piotr, Pach Maciej, „Disciplinary liability of judges, The Polish case“, in: Accountability and the Law, 1st Edition, 2021, P. 64.

[21] „2025 წლის ცვლილებები საერთო სასამართლოების შესახებ ორგანულ კანონში, საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია, 2025 წელი.

[22] იქვე.

[23] იქვე.

[24] Note of international standards and good practices of disciplinary proceedings against judges, OSCE Office for Democratic Institutions and Human Rights, 27.12.2018, P. 17.

[25] Opinion No. 27 (2024) on the disciplinary liability of judges, Consultative Council of European Judges (CCJE), 6.12.2024, §27.

შეჯამება

სასამართლო ხელისუფლება დემოკრატიული და სამართლებრივი სახელმწიფოს შეუცვლელი ელემენტია, რომელიც უნდა სარგებლობდეს დამოუკიდებლობითა და ანგარიშვალდებულებით. სასამართლო, ისევე, როგორც თითოეული მოსამართლე ანგარიშვალდებული უნდა იყოს საზოგადოების, ქვეყნის კონსტიტუციისა და საკუთარი სინდისის წინაშე. შესაბამისად, მათ შორის, აუცილებელია, მან პასუხი აგოს ისეთ გადაცდომებზე, რომელიც, მართალია, დანაშაულად არ კვალიფიცირდება, თუმცა მისი სტატუსისთვის შეუთავსებელია. სწორედ ამისთვისაა მნიშვნელოვანი დისციპლინური პასუხისმგებლობის სისტემის გამართული რეგულაციების არსებობა.

როგორც ზემოთ აღინიშნა, დისციპლინური პასუხისმგებლობის გამართული წესი მჭიდროდ არის დაკავშირებული მოსამართლის დამოუკიდებლობის პრინციპთანაც. მიკერძოებულად და არაობიექტურად წარმოებულმა საქმემ, შესაძლოა, დამანგრეველად იმოქმედოს დამოუკიდებლობაზე და, საბოლოო ჯამში, ზიანი მიადგეს სასამართლოს ნდობისა და ავტორიტეტის ხარისხს საზოგადოებაში.

ხშირ შემთხვევაში დისციპლინური პასუხისმგებლობა გადაიქცევა მოსამართლეებზე ზეწოლისა და მათი დასჯის იარაღად იმ რეალობაში, როდესაც ხელისუფლება ცდილობს თავისი პოლიტიკური გავლენების გავრცელებას სასამართლოზე და სისტემაში განსხვავებული აზრის მოსპობას.

ცხადია, დისციპლინური საქმის განხილვის წესი საერთაშორისო სტანდარტებს უნდა შეესაბამებოდეს. პირველ ყოვლისა, აუცილებელია, რომ არსებობდეს კონკრეტული, მკაფიო და განსაზღვრული რეგულაციები, რომლებითაც მარტივად აღქმადი იქნება მთლიანი პროცესი, განსაკუთრებით კი, დისციპლინური პასუხისმგებლობის საფუძვლები. ისინი არ უნდა იყოს იმდენად ბუნდოვანი, რომ ტოვებდეს ინტერპრეტაციის ვრცელ არეალს და არაკანონიერად იყოს გამოყენებული. ამასთანავე, საქმე უნდა განიხილოს დამოუკიდებელმა და მიუკერძოებელმა ორგანომ, რომელიც ასევე თავისუფალი იქნება პოლიტიკური გავლენებისგან.

მიუხედავად იმისა, რომ წლების განმავლობაში დისციპლინური პასუხისმგებლობის ზოგიერთი საფუძველი დეტალურად გაიწერა, 2025 წლის ივნისის საკანონმდებლო ცვლილებების შედეგად, გაუარესდა მოსამართლეთა დამოუკიდებლობის გარანტიები.

გადაცდომის სახედ „მოვალეობის არაჯეროვან შესრულების“, განსაზღვრა ფართო ინტერპრეტაციის საგანია და, შესაძლოა, კრიტიკული აზრის მქონე მოსამართლეთა მიმართ რეპრესიებისთვის იყოს გამოყენებული, რაც, თავისთავად, სასამართლო ხელისუფლებაში ძალაუფლების კონსოლიდაციასა და მოსამართლეებზე პოლიტიკური გავლენების გავრცელებას ემსახურება.